ეუფლოთ ლენინგრადის კოლეკტივის 40 წლისთავს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-15 წელი.

№ 129 (1299) | სამშაბათი, 28 ოქტომბერი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

ნელს პირველად

ვილნიუსი. (ჩვენი სპეც. კორ.). წელს პირველად მოეწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში. პირველად შეხვედრები გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის თასზე, ხოლო ფინალი — ვილნიუსში, სადაც სპატიო ჯილდოსათვის იბრძოდნენ უძლიერესი სპორტსმენები.

როგორც წესი, შეჯიბრება დაიწყეს რაპირით მოფარიკაველებმა, სადაც ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობდნენ სპორტის ოსტატები გ. ჯაიანი, ო. კიკალიშვილი და ი. ოსიპოვი. გ. ჯაიანმა პირველივე წრეში განიცადა დამარცხება მოსკოველ ბირველთანრიგოსან ვ. კურნოსოვთან. ი. ოსიპოვმა და ო. კიკალიშვილმა შეძლეს თავიანთი მოწინააღმდეგეთა დამარცხება და უფლება მოიპოვეს ებრძოლათ სპატიო ჯილდოსათვის. განსაკუთრებით საინტერესო იყო ო. კიკალიშვილის შეხვედრა მსოფლიო პირველობის მონაწილე მოსკოველ ი. რუდოვთან. მოსკოველმა ვერაფერი გააწყო ქართველი სპორტსმენის წინააღმდეგ და წაგო შეხვედრა დიდი ანგარიშით — 1:10.

მომდევნო წრეში ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ი. ოსიპოვი და ო. კიკალიშვილი. გაიმარჯვა პირველმა. პირველ ნახევარფინალურ მატჩში გავიდნენ ი. ოსიპოვი და უკრაინელი მოფარიკავე ვ. კოლესნიკოვი, რომელმაც წინა წრეში გაიმარჯვა სსრ კავშირის ჩემპიონ გ. სვეშნიკოვთან (რსფსრ). ბრძოლა თავიდანვე წაიყვანა ი. ოსიპოვმა და გაიმარჯვა კიდეც — 10:3.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ი. ოსიპოვი და ი. სისიკინი. ბრძოლა თავიდანვე თანაბარი იყო — 1:1, 2:2, 3:3. შემდგომში დაწინაურდა ი. სისიკინი და ანგარიში გახდა 9:4 მის სასარგებლოდ. ი. ოსიპოვმა თანდათან გამოასწორა მდგომარეობა და ზედიზედ 4 ჩხვლეტა მიაყენა მეტოქეს, ერთ-ერთ მომენტში, როცა ი. ოსიპოვი მორიგ იერიშზე გადავიდა, სისიკინმა შეძლო გადამწყვეტი ჩხვლეტის მიყენება და გაიმარჯვა კიდეც. თასი მოიპოვა ი. სისიკინმა.



მტერს უკვირს, როგორ ჰგვანან
ერთმანეთს...
ისევ მრისხანედ იფეთქებს ტყვია.
მოჰყავთ მეორე, მოჰყავთ მესამე:
— ზოია მჭვია!
— ზოია მჭვია!..
ბრაზობენ, უკვირთ, ვერ გაუგიათ
ვერც ჭკუით, ველარც
გამოცდილებით.
ნეტავ სულ ყველას ზოია ჭვია,
თუ ცოცხლდებიან დახოცილები?
ნუ გიკვირს, მტერო, მათ ვერ
დაითვლი,
ისინი რისხვის ქარიშხლად ჰქრიან.
სამშობლოსათვის მებრძოლ
ქალიშვილს,
ყველა ქალიშვილს ზოია ჰქვია!

ნორჩ ლენინელთა ზეიმი

გასულ შაბათს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე თავი მოიყარეს საქართველოს ნორჩ პიონერთა V რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებმა. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, სტალინირისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების პიონერთა ორგანიზაციების კოლონები მწყობრი ნაბიჯებით შემოვიდნენ სტადიონზე და ცენტრალური ტრიბუნის წინ მოიწყვნენ. შეკრების უფროსმა ს. ციქურიშვილმა მონაწილეთა მზადყოფნის შესახებ უპატაკა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. მ. მგელაძეს, რის შემდეგ აღმართულ იქნა ალამი. საქართველოს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური შეკრება, მიძღვნილი კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი გაიხსნა.

შეკრების მონაწილეებს საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის სახელით მიესალმა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ე. შევარდნაძე, რომელმაც ნორჩებს წარმატება უსურვა სწავლასა და შრომაში. მომავალი თაობის წარმომადგენლებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კომკავშირელ მეომრების სახელით მიესალმა კაპიტანი დ. ხრამჩენკო.

დამთავრდა შეკრების საზეიმო ცერემონიალი. ფეხბურთის მინდორს იკავებენ დედაქალაქის ნორჩი სპორტსმენები, რომლებიც ამ დღისათვის სპეციალურად ამზადებდნენ სპორტულ გამოსვლებს.

ნორჩებმა შეხვედრები მოუწყეს იმ ადამიანებს, რომლებიც იბრძოდნენ მათი ბედნიერი მომავლისათვის— ძველ ბოლშევიკებსა და კომკავშირულ მუშაკებს, უამბობდნენ თავიანთ წარმატებებზე სწავლასა და სპორტში, ისმენდნენ უფროსთა რჩევა-დარიგებებს, გარდახდილ ბრძოლათა ეპიზოდებს.

ზეიმი გაგრძელდა მეორე დღესაც. დილადანვე დაიძრნენ ჯგუფები დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად, რაც დასრულდა პიონერთა პარკში მოწყობილი რესპუბლიკური შეკრებისადმი მიძღვნილი გამოფენის გაცნობით. ისინი აქვე დაესწრნენ სამამულო ომის გმირი პარტიზანის ზოია რუხაძის ძეგლის გახსნას, მისი ხსოვნის აღსანიშნავად ფიცი დადეს მასსავით უშიშარნი იყვნენ მტერთან ბრძოლაში.

შეკრების მონაწილეები ცალკეულ ჯგუფებად გაემართნენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლისაკენ. დღის 3 საათისათვის გაიმართა შეგობრობის სადილი, ბავშვებს ახლა მიეცათ საშუალება თანატოლებისათვის გაეზიარებინათ მიღებული შთაბეჭდილებანი.

რუსთაველის პროსპექტზე საზეიმო სვლის შემდეგ შეკრების მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

გუშინ პიონერთა ზეიმის უკანასკნელი დღე იყო. რუსთაველის სახელობის თეატრი ვერ იტევდა პატარა სტუმრებს. მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მონტაჟმა „ჩვენ მზრუნველად პარტია გვყავს და გამზრდელად მისი შვილი“ და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხატვრული თვითშემოქმედებითი კოლექტივების გამოსვლამ.

შეკრება საზეიმოდ დაიხურა. ნორჩები თავიანთ კოლექტივებში დაბრუნდებიან და ამხანაგებს უამბობენ ამ დიდი დღესასწაულის შესახებ.

სახელგანთქმულ იარომირ ჩიქექს გამარჯვების თაიგული მიართვა პატარა თბილისელმა. ჩიქექმა გულთბილად გადაკოცნა გოგონა, მადლობა გადაუხადა ძღვენისათვის, მაგრამ მასპინძელი, ოდნავ ჰირვეული გამოდგა—გოგონამ არ გადასცა თაიგული გამარჯვებულს, ვიდრე მისგან არ მიიღო სამახსოვროდ ყვავილი.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.)

უნგრელი წყალბურთელები მოსკოვში

ტრადიციად იქცა ბუდაპეშტის კლუბის „ვაშაშისა“ და საბჭოთა წყალბურთელების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრები. ამ დღეებში ჩვენს ქვეყანაში სიპასუხო ვიზიტით ჩამოვიდნენ უნგრელი სპორტსმენები, რომლებიც პირველ მატჩში შეხვდნენ ლენინგრადის „ბურევესტნიკს“. შეხვედრა გაიმართა მოსკოვში, ცსკ მო-ს საწყლოსნო აუზში.

ანგარიში გახსნეს სტუმრებმა 4-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნით. შემდგომში მათ კიდევ ორი ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 3:1.

ჯოჯაბეიანი-ცხოვრების ნათელი გზა

სახელოვანი იუბილე

მთელს საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად საქართველოს ჭაბუკები და გოგონები ზეიმით აღნიშნავენ ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 40 წლის სახელოვან იუბილეს. ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდები დადგნენ იუბილეს აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს პრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, სწავლასა და სპორტში. რესპუბლიკაში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრებები, საქართველოს ჭაბუკებმა კიდევ ერთი შრომითი მამაცობის ფურცელი შეავსეს ყამირი მიწების ათვისების ისტორიაში.

მარტო შრომითი წარმატებებით როდი დაკმაყოფილდა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა. მწერლებმა, პოეტებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა — ლენინური კომკავშირის აღზრდილებმა შექმნეს ახალი ნაწარმოებები.

მათ არც ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის ბრძოლაში შეურცხვენიათ თავი. პირველადმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს მარტივი ტიპის ბაზების შექმნაში. გამოეხმაურნენ რა რუხისა და ჩაქვის ახალგაზრდების მოწოდებას, მარტო საგარეჯოს რაიონის 18 კოლმეურნეობაში მოეწყო მარტივი ტიპის მოედნები, საპიდაო ორმოები, სარბენი ბილიკები. ახალგაზრდების მონაწილეობით თელავსა და გორში მოეწყო სტადიონი, ტყიბულში — სტადიონი და აუზი, ჭიათურაში კომკავშირულ მშენებლობად იქნა გამოცხადებული კალათბურთის მოედნის მშენებლობა, რომელიც ერთ-ერთ შესანიშნავ ბაზას წარმოადგენს.

★

საუბარი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივან თ. ბადურაშვილთან

★

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივი დადგენილების საფუძველზე მიმდინარეობდა მასობრივი ღონისძიებები, შეჯიბრებები მშთ მრავალჭიდში, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადება და ა. შ.

სახელოვანი კომკავშირის იუბილეს მიუძღვნეს კომკავშირულმა მუშაკებმა თავიანთი სპარტაკიადები თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, გორში, თელავში და სხვაგან მოეწყო მრავალდღიანი ველორბოლა, ტურისტული და ალპინისტური ლაშქრობები.

წარმატებით დამთავრდა ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება — საბაიდარო ტურისტული ლაშქრობა მდინარე ანგარაზე, ალპინისტებმა დალაშქრეს კავკასიონის რამდენიმე მწვერვალი.

სტუმრები რიგიდან

ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავის საიუბილეო დღეებში, თბილისში სტუმრად ჩამოდის რიგის კომკავშირული ახალგაზრდობის დელეგაცია. ლატვიელთა დელეგაციას ამხანაგური სპორტული თამაშების ჩასატარებლად თან მოჰყვებიან რიგის კალათბურთელ ვაუთა და ქალთა გუნდები, ფრენბურთელ და მოჭადრაკე ვაუთა კოლექტივები. რიგის მოჭადრაკეთა გუნდში არიან ლატვიის ჩემპიონი, ოსტატი ა. გიპსლისი, ოსტატი ი. კლიავინში, ოსტატობის კანდიდატები ო. ზილბერი, ი. კლოვანსი და გ. ვლუცკანი.



ო. ქორქია

ე. გოკიელი

ლ. სანაძე

ოქტომბრის კომკავშირი

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სპორტული ბაზები ავარიულ მდგომარეობაში იყო, არარეგულარულად მუშაობდნენ სექციები, იშვიათად თუ ვინმეს მოაგონდებოდა ფაბრიკაში რაიმე ღონისძიების ჩატარება და ისიც საქალაქო პირველობის წინ, ამიტომაც აქაური სპორტსმენები დაბალი მაჩვენებლებით გამოდიოდნენ სამატჩო შეხვედრებში, შეჯიბრებებში.

მაგრამ, აი კომკავშირელთა საერთო კრებაზე ხმა აღიმაღლეს ახალგაზრდებმა, საყვედური გამოთქვეს: ყურადღებას არ გვაქცევთ, არ გვეხმარებითო. მათი საყვედური უკვალოდ არ გაქრა, კომკავშირის საფაბრიკო კომიტეტმა საამქროთა ბიუროებთან და ფიზკულტურის ინსტრუქტორთან ერთად შეადგინეს სამუშაო გეგმა, ჩამოაყალიბეს სექციები, შეაკეთეს ბაზები და მალე თითქმის ყველა საამქროში გაჩნდა გუნდებიც, დაიწყო შიდასაკოლექტივო შეჯიბრებების რეგულარული გამართვა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

კომკავშირელთა თაოსნობას მხარი დაუჭირა ფაბრიკის დირექციამ. შეიძინეს ინვენტარი და ფორმები, მაგრამ ჯერ კიდევ მცირე იყო სექციებში მომეცადინეთა რაოდენობა. ახალგაზრდების მნიშვნელოვან ნაწილს სჯეროდა, რომ ამ წამოწყებიდან რაიმე გამოვიდოდა, პესიმისტთა მოსაზრებანი საბოლოოდ დაიმსხვრა, როცა საგრძნობლად იმატა სექციებში მომეცადინეთა შრომის ნაყოფიერებამ.

ფაბრიკის კომკავშირულ ორგანიზაციას თავისი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პუნქტად მიაჩნია ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებაზე ზრუნვა. კომიტეტის სხდომებზე ხშირად იხილავენ ცალკეული სექციების, ჯგუფების, ფიზორგების, შეჯიბრებაში მონაწილეობის საკითხებს, ამ საკითხებს მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ საამქროთა პირველადი ორგანიზაციებიც. ფიზკულტურაზე კომკავშირის ზრუნვის შედეგია ის, რომ მძლეოსნობის, ფრენბურთის, კალათბურთის, ცურვის, სროლის, ჭადრაკისა და სხვა სახეობათა სექციებში გაერთიანებულთა შორის ლენინური კომკავშირის 207 წევრია.

ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ი. კობახიძემ სიამაყის გრძნობით განაცხადა, რომ აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის ფიზკულტურელები და კომკავშირელები კიდევ უფრო მეტი ძალით იბრძოლებენ ახალი წარმატებების მოპოვებისათვის.

ეს ხალხია ჩემი მიზანი

ლიტვისა და საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა მატჩი ტარდებოდა კიროვის სახელობის პარკის მოედანზე. პირველი ნახევარი სტუმრებმა მოიგეს, მაგრამ მრავალათასიან მაყურებელს მტკიცედ სჯეროდა, რომ ეს იყო დროებითი უპირატესობა, რომ თბილელთა გუნდის ლიდერი შავტუხა ჭაბუკი ჯერ არ გათამაშებულა. იცოდნენ, რომ ეს მაღალი მხარბეჭიანი ახალგაზრდა, თამაშის მეორე ნახევარში მთლიანად გამოავლენდა თავის ბრწყინვალე ტექნიკას.

პირველი ნახევარი ლიტველებმა 6 ქულით მოიგეს — 30:24.

მეორე ნახევარში სურათი შეიცვალა. ველარ იცნობდით მოედანზე ლიდერს, რომელმაც ჩვეული აგრესიულობით შეუტია მოწინააღმდეგის კალათს, თავისუფლად გადიოდა, როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან, მოხდენილი დრიბლინგით შედიოდა ფარქვეშ და ბურთს ბურთზე ათავსებდა კალათში. გუნდს თანდათან ემატებოდა გამარჯვების რწმენა. გამოცოცხლდნენ ა. საკანდელიძე და ვ. ალტაბაევიც. მალე ანგარიში გათანაბრდა — 33:33. ლიტველთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გატყდა. ლიდერმა ბრწყინვალედ განახორციელა ამოცანა. მაგრამ ენერგიული, მეტად მოძრავი და შეუპოვარი ჭაბუკი მიღწეულით როდი დაკმაყოფილდა, იგი ისევ ჩვეული ოსტატობით ხელმძღვანელობდა კოლექტივს მოედანზე და მხოლოდ მატჩის უკანასკნელ წუთებში დაცხრა, როცა პირველობის ყველაზე ძლიერ კონკურენტთან უკვე მოგებული იყო თამაში. მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონობისაკენ გზა უკვე გაკაფული იყო.

ვინ იყო იგი, რომელმაც მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადაზე მაყურებელთა სამართლიანი სიყვარული მოიპოვა, რომლის ტექნიკური არსენალის სიმდიდრე და ენერგიის უჩვეულო სიჭარბე ჯერ კიდევ შარშან რიგაში გამართულ მოსწავლეთა IV საკავშირო სპარტაკიადაზე აღიარეს კალათბურთის სპეციალისტებმა. სად ჩაისახა მისი მიზანი, რომელმაც ჯერ კიდევ ჭაბუკს საშუალება მისცა დაუფლებოდა კალათბურთის რთულ ტექნიკას.

მაშინ თბილისის 53-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე იყო ლევან მოსეშვილი, როცა ახალგაზრდობის ლენინურ კომკავშირში შესვლის სურვილი აღეძრა და განცხადებით მიმართა სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანს. აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკსა და სწავლის მოწინავეს უარს როგორ ეტყოდნენ. რაიკომის ბიუროზე რომელიღაც წევრმა ჰკითხა — სპორტს თუ მისდევო. ლევანმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. თუმცა არ დაიბნა, მალე მონახა გამოსავალი — პირობა დასდო შეასრულებდა კომკავშირის პირველსავე რჩევას. აქედან დაიწყო საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ლიდერის სპორტული კარიერა, რომელიც, როგორც კარგი მოჭადრაკე, თბილისის განათლების განყოფილების სპორტულ სკოლაში ჩარიცხეს.

ენერგიის დაუზოგავად ავარჯიშებდა მ. კეკელიძე ახალგაზრდებს, ასწავლიდა ბურთის ტარების, ცრუ მოძრაობების, კალათში ახლო და შორი მანძილიდან გდების, დაცვისა და თავდასხმის ტექნიკას, რომელსაც უნაკლოდ ითვისებდა და იყენებდა ნიჭიერი ჭაბუკი.

კომკავშირმა შთაგონა სპორტში მეცადინეობა, ხოლო მწვრთნელმა და კოლექტივმა აღზარდეს მისგან შესანიშნავი სპორტსმენი, მეგობარი და ადამიანი.

ო. გელაშვილი

ა. ბედუკაძე



მ. ნინოშვილი

ნ. გაფრინდაშვილი

სპორტის ყველა მოყვარული იცნობს ზედა სურათებზე აღბეჭდილ ადამიანებს, სპორტის ვეტერანებს, რომლებსაც არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაუწერიათ ქართული და საბჭოთა სპორტის ისტორიაში,

ესენი არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები, ქართული კალათბურთის საამაყე ოთარ ქორქია, მძლეოსნები ელენე გოკიელი და ლევან სანაძე. ისინი ლენინურმა კომკავშირმა აღზარდა და დაავალეა, გამოიყვანა სპორტულ ასპარეზზე.

ქვედა სურათებზე თქვენ ხედავთ კომკავშირელ სპორტსმენებს, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გამოჩნდნენ ასპარეზზე და უკვე მოიხვეჭეს სახელი.

ლენინური გზა

მე-2 გვ. № 129 (1299)

საერთაშორისო მოჭორაბოღა

ჟ. ლედოარმერი

(საფრანგეთი)

✦

ყოველ დიდ შეჯიბრებას თან ახლავს მოულოდნელობანი: ზოგ შემთხვევაში დასანანი მარცხი, ზოგჯერ კი გაუთვალისწინებელი წარმატებაც. საერთაშორისო მოტოროსი, რომელიც გასულ კვირას დამთავრდა, არ იყო დაზღვეული ასეთი სიურპრიზებისაგან, განსაკუთრებით შეჯიბრების მეორე დღეს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ა. ვასინი (125 კბ სმ კლასი) პირველი დღის შემდეგ მეოთხე ადგილზე იყო, ამიტომ მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი სატურნირო მდგომარეობა გაეუმჯობესებინა მეორე დღეს. ამ განზრახვით დაიწყო ვასინმა შეჯიბრება და თავიდანვე ლიდერთა ჯგუფში მოექცა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩემპიონს ცუდი პერსპექტივები ჰქონდა. ვასინი წრეს წრეზე გადიოდა თანაბრად, დარწმუნებულად, რევანშის მტკიცე სურვილით, მაგრამ ერთ-ერთი წრის შემდეგ იგი მოულოდნელად გაუჩინარდა. გავიდა საკონტროლო დრო, მონაწილეები ახალ წრეს შეუდგნენ, ვასინი კი არსად ჩანდა. ბოლოს საკონტროლო პუნქტიდან მოვიდა ცნობა, რომ ვასინმა მანქანის დაზიანების გამო შეწყვიტა რბოლაო. აი, პირველი დასანანი მარცხი.

საქართველოს ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი კ. ცალქალამანიძე ამ შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოდიოდა. მას შემდეგ, რაც ცალქალამანიძე მოექცა ლიდერთა ჯგუფში, იგი მესამე საპრიზო ადგილის პრეტენდენტი გახდა, მაგრამ უკანასკნელ წრეზე მასაც ვასინის ბედი ეწვია.

არც პირველ — და არც მეორე დღეს არ გაუმართლდა ფინელ რაიმო რენს (500 კბ სმ კლასი). ზედ სტარტზე მისი მანქანა შეეჯახა უაკ შმიდის მოტოციკლს და საბამ სპორტსმენებმა ხელახლა აიღეს სტარტი, მონაწილეთა ძირითადი მასა საგრძნობლად დაწინაურდა. რენი მე-16 ადგილზე აღმოჩნდა. მეორე წრის შემდეგ ფინელმა სამი ადგილით წინ გადაინაცვლა. მესამე წრეზე რენი უკვე მე-11 ადგილზე იყო, ხოლო ორი წრის შემდეგ — მერვეზე. ვინ იცის კიდევ რა სიურპრიზს შემოგვთავაზებდა რენი, მასაც რომ არ შეაზიანებოდა მანქანა. ფინელმაც გაზიარა სხვა რბოლიდან გამოთიშულთა ბედი.

— საერთოდ — განაცხადა ერთ-ერთმა ფინელმა მოტოციკლისტმა — რაიმოს წელს ბედი არ წუალებს. შარშან კი რაიმომ მართლაც რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. რიგაში მან აღტაცებაში მოიყვანა არა მარტო მაყურებელი, არამედ თვით კრონის მონაწილე სპორტსმენებიც. უკანასკნელი წრის წინ ფინელმა მოულოდნელად გაიჩერა მანქანა. მოიხადა სათვალეები, გამოივლო პირი წყლით და წუთით შეისვენა. მონაწილეთა უმრავლესობამ საკმაოდ გაკვირვებული სახეებით ჩაუქროლეს ფინელს და თვალს მიეფარნენ. გაკვირვებული უყურებდნენ რაიმოს გაღიმებულ სახეს მსჯელებიც და მაყურებლებიც. მცირედი პაუზის შემდეგ ფინელი ხელახლა ამხედრდა მოტოციკლზე და ჩაება ბრძოლაში. გავიდა დრო. გამოჩნდა პირველი მოტოციკლისტის კონტურები, რომელიც არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდებოდა და უახლოვდებოდა ფინიშს. საერთო გაკვირვება აღტაცებამ შეცვალა, როდესაც ხალხმა გამარჯვებულში რაიმო რენი შეიცნო. სამწუხაროდ, ფინელმა ვერ შეძლო თავისი ოსტატობის დემონსტრაცია თბილისში და მოტოციკლისტი № 55-ით ბევრისათვის შეუმჩნეველი დარჩა.

ფინელები ამ მოტოკროსში აშკარად დაიჩაგრნენ. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ისინი ასე ფიქრობენ. მათ ვერ შეძლეს სამშობლოში ვერც ერთი პრიზის წაღება, გარდა იმ სამახსოვრო ნიშნებისა, რომელზეც გამოსახულია თბილისი და წარწერა 1500. ეს ჯილდო დაჩაგრულ გუნდს გადასცა ერთ-ერთმა „გულაჩუყებულმა“ მაყურებელმა.

სხვაგვარად განიცადეს ორდღიანი ბრძოლა ექსპანსიურმა ფრანგებმა. საფრანგეთის გუნდი მოტოკროსზე ორი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი ჟერარ ლედორმერი (№ 44) და ჟაკ შმიდი (№ 52). ორივე მოტოციკლისტმა აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი — პირველმა დამსახურებული გამარჯვებით (500 კბ სმ კლასში), ხოლო მეორემ — მართვის თამამი, აზარტული სტილით.

პირველი დღის გამარჯვების შემდეგ ჟერარ ლედორმერმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა: „ჩემთვის საამაყოა ამ შესანიშნავ ქალაქში მოპოვებული გამარჯვება. თბილისი ღვიძლი ძმასავითა ჰგავს საფრანგეთის სამხრეთ ქალაქებს, საიდანაც ვარ მე წარმოშობით. ალბათ, თქვენი ქალაქის ბავა მიწყობს ხელს წარმატებაში, ვწუხვარ, რომ თბილისის მაყურებლებმა ვერ ნახეს ფრანგული მოტოსპორტის კორიფეები. მე ხომ ჩემს ქვეყანაში მხოლოდ მეშვიდე ადგილზე ვარ“.

ჟერარ ლედორმერი თავის კუბატურაში უძლიერესი იყო. მას ერთგვარ კონკურენციას უწევდა მხოლოდ ჰოლანდიელი ჰენრი რიტმანი და ჩეხი იოზეფ გრადეკი. თუმცა, ვინ იცის, როგორ სახეს მიიღებდა ბრძოლა პირველობისათვის სტარტზევე რომ არ მოსვლოდა ავარია მეორე ფრანგ მოტოციკლისტს — ჟაკ შმიდს. მაგრამ მას შემდეგ, რაც შმიდმა არიერგარდში გადაინაცვლა, იგი გამოაკლდა საპრიზო ადგილისათვის ბრძოლას. მიუხედავად ამისა, იგი დიდი აზარტით და ჟინით დაჰქროდა, რითაც სამართლიანად დაიმსახურა მაყურებლის სიმპათია.

იარომირ ჩიუეკი — ჩეხური მოტოსპორტის წარმატებათა მატიანე, მისი ყველაზე გამოკვეთილი და უბადლო წარმომადგენელია. ჩიუეკი — ბრწყინვალე ტაქტიკოსი, ჩიუეკი — უბადლო ტექნიკის მქონე სპორტსმენი, ჩიუეკი — მოტოსპორტის ენციკლოპედიაა. აი მხოლოდ ასეთი სიტყვები ისმოდა იმ მხიარული, მოუსვენარი ჩეხის მიმართ, რომელმაც ოთხჯერ აიღო თბილისში სტარტი და ოთხჯერვე პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ჩიუეკი ფრთხილი და თავდაჭერილი იყო იქ, სადაც უამისობა არ შეიძლებოდა, ჩიუეკი გრიგალივით თვალშეუვლები იყო იქ, სადაც ტრასა ამის საშუალებას იძლეოდა, ჩიუეკი დაუნდობელი იყო იმათ მიმართ, ვინც მას პირველობას ეცილებოდა.

ჩიუეკის ტაქტიკა — ყოველთვის გამარჯვების ტაქტიკა იყო. თუ ვინმეს ჩაუჯდებოდა იგი თვალში ეს იმას ნიშნავდა, რომ მას მეტოქის წონასწორობიდან გამოყვანა და დემორალიზება განუზრახავს, ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ სპორტსმენს ჩიუეკი მთავარ კონკურენტად თვლიდა. ჩიუეკი უცდიდა ხელსაყრელ მომენტს გავლისათვის და შემდეგ იყენებდა მას უაღრესად ტექნიკურად, ეფექტურად. ასე გასტეხა მან საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ნ. სევასტიანოვის წინააღმდეგობა, ასე „მოუღო“ მან ბოლო თავის თანაგუნდელ საშა კლიმტს და კიდევ ბევრ სხვას.

თვითონ იარომირი თავის წარმატებებს უმადლის ერთ ტანდაბალ, შუახნის მამაკაცს, რომელიც შვილივით თავს დასტრიალებს სპორტსმენს. ეს მამაკაცი „იავას“ ქარხნის დირექტორია, ქარხნისა, რომლის მანქანასაც მართავს ჩიუეკი.

— გამარჯვება დიდადაა დამოკიდებული მანქანის ხარისხზე — სერიოზული სახით აცხადებს ჩიუეკი და თვალით მიუთითებს ქარხნის დირექტორისაკენ. — ჩემს პრიზებს სანახევროდ შეფს გავუყოფ. — უკვე ღიმილით ამთავრებს საუბარს იარომირი.

როდესაც ამ საერთაშორისო შეჯიბრების დებულება იწერებოდა, მასში ნაგულისხმევი იყო სამი კუბატურა — 125, 350 და 500. მაგრამ გერმანელებმა, ჩეხებმა და ფინელებმა დამატებით ჩამოიტანეს რამდენიმე 250 კბ სმ კლასის მოტოციკლი და ითხოვეს, რიგგარეშე შეჯიბრების მოწყობა, რომელიც გუნდურ ჩათვლაში არ შეეტანდა. მსაჯთა კოლეგია დათმობაზე წავიდა და ასე წარმოიშვა კიდევ ერთი დამატებითი შეჯიბრება, რომელიც კვლავ იარომირ ჩიუეკმა მოიგო (თითქოს აკლდა მას გამარჯვება).

საქართველოს მოტოციკლისტებისათვის ეს შეჯიბრება პირველი სტარტი იყო საერთაშორისო სარბიელზე და უნდა ითქვას, რომ დებიუტი საკმაოდ საპატიო გამოდგა. მეოთხე ადგილი ჩეხოსლოვაკიის, რსფსრ-სა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შემდეგ, თავისთავად წარმატებაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა უკან ჩამოიტოვეს პოლონეთის, ავსტრიისა და რუმინეთის გუნდები.

ნ. გუგუშვილი

• • •

ორდღიანი ბრძოლის საბოლოო შედეგები ასეთია: 125 კბ, სმ კლასი 1. ზ. პოლიანკა (ჩეხოსლოვაკია), 2. ბ. როუჩკა (ჩეხოსლოვაკია), 3. ა. სიროტკინი (რსფსრ), 4. ზ. კალუჟა (პოლონეთი), 5. ვ. გრიგორიანი (საქართველო), 6. მ. პოპი (რუმინეთი), 7. შ. იანკოვიჩი (რუმინეთი), 8. ი. გრიგორიევი (სსრკ), 9. ე. ლენშერი (ავსტრია), 10. ა. ვასინი (სსრკ), 11. კ. ცალქალამანიძე (სსრკ).

ზ. პოლიანკა

(ჩეხოსლოვაკია)

✦

350 კბ, სმ კლასი. 1. ი. ჩიუეკი (ჩეხოსლოვაკია), 2. ნ. სევასტიანოვი (სსრკ), 3. ი. დუდორინი (რსფსრ), 4. ბ. სამოროდოვი (სსრკ), 5. ს. კლიმტი (ჩეხოსლოვაკია), 6. თ. შალიბაშვილი (საქართველო), 7. ი. ჩუბრიკოვი (ბულგარეთი), 8. ხ. ხუბერი (ავსტრია), 9. თ. ჩხაიძე (საქართველო), 10. ვ. როიბახი (გდრ).

500 კბ, სმ კლასი. 1. ჟ. ლედორმერი (საფრანგეთი), 2. ი. გრადეკი (ჩეხოსლოვაკია), 3. ო. კლაუდენგერი (ჩეხოსლოვაკია), 4. ა. ბელკინი (რსფსრ), 5. ე. შმიდი (საფრანგეთი), 6. შ. ხონკალა (ფინეთი), 7. ა. პრუკნერი (ავსტრია), 8. ბ. ივანოვი (რსფსრ), 9. ე. კუროჩკა (პოლონეთი), 10. გ. რიტმანი (ჰოლანდია).

250 კბ, სმ კლასი (პირადი ჩათვლა) 1. ი. ჩიუეკი (ჩეხოსლოვაკია), 2. ს. კლიმტი (ჩეხოსლოვაკია), 3. ო. ბენიამინსონი (ფინეთი), 4. ვ. ადოიანი (სსრკ), 5. ხ. გრენკვისტი (ფინეთი).

გუნდური ჩათვლა: 1. ჩეხოსლოვაკია, 2. რსფსრ, 3. სსრკ, 4. საქართველო, 5. პოლონეთი, 6. ავსტრია, 7. საფრანგეთი, 8. რუმინეთი, 9. ფინეთი, 10. ბულგარეთი, 11. ჰოლანდია, 12. გდრ.

ალბათ არ იცნობთ ამ სათვალეებიან მამაკაცს, რომელიც რბოლის დროს მოტოციკლისტებზე უფრო ღელავდა. გთხოვთ გაიცნოთ საფრანგეთის გუნდის წარმომადგენელი, მეტად ექსპანსიური და მხიარული ადამიანი.

ამჯერად იგი უკიდურესად დაძაბულია, რადგან მისი საყვარელი მოტოციკლისტი ჟაკ უახლოვდება ფინიშს. არა გვგონია, რომ ჟაკმა გაიგოს ან დაინახოს თავისი წარმომადგენლის ნიშნები, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მას უბრალოდ ერთ ადგილზე მოსვენება არ შეუძლია. ეს არის და ეს.

✦

ადამიანები და მანქანები ჰაერში

თბილისის „დინამოს“ გამარჯვებული ბურთი

ირანის ქალაქ თეირანში ბოლოს საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და ადგილობრივი ნაკრები.

მატჩი დამთავრდა ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 7:0.

სსრ კავშირის თასზე

26 ოქტომბერს მოსკოვში შედგა პირველი ნახევარფინალური შეხვედრა სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში მოსკოვის გუნდებს „სპარტაკსა“ და „დინამოს“ შორის. მატჩი მოიგო „სპარტაკმა“ ანგარიშით 2:1.

როსტოვი. 25 ოქტომბერი. (ტელეფონით). აქ შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ სკვო (როსტოვი)—„ყუბანი“ (კრასნოდარი).

თამაში დამთავრდა როსტოველთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0. ამჟამად როსტოვის სკვო-სა და ერევნის „სპარტაკს“ აქვთ ქულათა თანაბარი რაოდენობა — 43. ზონაში პირველი ადგილის გამოსარკვევად მათ შორის დაინიშნა დამატებითი მატჩი.

• • •

ბაქო. 26 ოქტომბერი. ადგილობრივმა „ნეფტიანიკმა“ თავის მინდორზე მიიღო თბილისის არმიელ ფეხბურთელთა გუნდი.

მატჩი მოიგეს ბაქოელებმა—4:2.

ი. კუპერმანი კვლავ წინაა

დასასრულს უახლოვდება მატჩი მსოფლიო ჩემპიონობაზე 100-უჯრიან შაშში დელორესა და კუპერმანს შორის. მეტოქეებმა უკვე გაითამაშეს XV პარტია. კვლავ წინაა საბჭოთა მოშაშე. მან XIII პარტიაში მოხერხებულად გამოიყენა დელორეს შეცდომა, მეთოდურად შეუტია მსოფლიო ჩემპიონს და გაიმარჯვა. ანგარიში გახდა 8:5 კუპერმანის სასარგებლოდ.

XIV პარტიაში საბჭოთა გროსმაისტერმა თამაში შეტევით დაიწყო, მაგრამ მწვავე ბრძოლაში შეცდა და უიმედო მდგომარეობა მიიღო. გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა.

XV პარტიაში მეტოქეებმა თავი აარიდეს თამაშის გართულებას და შეხვედრა დამთავრდა ყაიმით.

XV ტურის შემდეგ ანგარიშია 8,5:6,5. ი. კუპერმანს მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად დარჩენილ 5 პარტიაში ჭირდება კიდევ ორი ქულა.



მთამსვლელობას აქედანვე ეჩვევა.

ფოტოეტიუდი რ. ბაჭრაძისა.

საქიმო ფიზკულტურის დისპანსერი

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მშრომელთა ფართო მასების პროფილაქტიკა და გაჯანსაღება. ფიზიკური ვარჯიშები მრავალმხრივ მოქმედებენ დადებითად ადამიანის ორგანიზმზე. მათი მეოხებით ორგანიზმი ყოველმხრივი ხასიათის ფიზიკურ განვითარებას ღებულობს. მაგრამ, ფიზიკური ვარჯიშები ყველა შემთხვევაში ერთნაირად როდი მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმზე. ორგანიზმი სხვადასხვა ჯანმრთელობის, ფიზიკური განვითარებისა და მომზადების პირობებში ოსინი განსხვავებულ გავლენას ახდენენ მასზე. ამიტომ არის, რომ ჩვენში ყველა ადამიანი, რომელიც კი ფიზიკურ ვარჯიშს იწყებს, ვალდებულია გაიაროს სპეციალური სამედიცინო შემოწმება, რომლის დროსაც წარმოებს ორგანიზმში არსებული ყველა ფუნქციური და პათოლოგიური ცვლილებების გამოვლინება.

ამგვარად, თვითეული ფიზკულტურელი და სპორტსმენი, რომელიც სისტემატურ ფიზიკურ ვარჯიშს მისდევს, მუდმივი საექიმო კონტროლის ქვეშ იმყოფება.

ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მომუცადნე ყველა პირზე საექიმო მეთვალყურეობა ძირითადად საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერების უშუალო ხელმძღვანელობით ხორციელდება. საბჭოთა კავშირში სპორტის მძლავრმა განვითარებამ განაპირობა ამ სრულიად ახალი ტიპის სამედიცინო დაწესებულებების შექმნა.

საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის მთავარ ამოცანას წარმოადგენს: ერთის მხრივ, საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა, ხოლო მეორეს მხრივ, სპორტსმენთა გარკვეული კონტიგენტის დისპანსერიზაცია.

საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერი საექიმო კონტროლის, სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტისა და სტაციონარისაგან უნდა შედგებოდეს. საექიმო კონტროლის კაბინეტები სისტემატურ სამედიცინო შემოწმებათა და მეთვალყურეობას აწარმოებენ ფიზკულტურაში და სპორტში მომეცადნე ყველა პირზე. ჰათ შუშაობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტორი, რომ საექიმო კონტროლის კაბინეტში სპორტსმენის ორგანიზმის ფიზიკური მომზადების გამოვლინება ხდება ექიმეპის მიერ გამოყენების სპეციალური ჰეთოდების გამოყენებით (ფუნქციური ცდები), რაც ჩვეულებრივი სამედიცინო შემოწმების დროს არ წარმოებს.

საექიმო კონტროლის დარგში მომუშავე სამედიცინო პერსონალი დიდ მუშაობას ატარებს დისპანსერის გარეშეც. დისპანსერის უშუალო ხელმძღვანელობით საექიმო კონტროლში მომუშავე სპეციალისტები აწარმოებენ სისტემატურ საექიმო-პედაგოგიურ მეთვალყურეობას, რასაც თანამედროვე სპორტულ მედიცინაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. საექიმო-პედაგოგიური მეთვალყურეობის დროს წარმოებს სპორტსმენის ორგანიზმის მიერ შესრულებული კუნთური მუშაობის მიმართ გამოვლინებულ რეაქციაზე დაკვირვება, რაც, თავის მხრივ საშუალებას იძლევა წვრთნის დროს ფიზიკურ ვარჯიშთა დოზირების საკითხი შედარებით უფრო სწორად გადაწყდეს.

საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის ხელმძღვანელობით წარმოებს ყველა სპორტულ ღონისძიებათა სამედიცინო მომსახურება და მათი სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებში მატარებლის [illegible] საექიმო-ფიზკულტურული [illegible] ვეობით [illegible] სპორტულ ტრავმატიზმის აღრიცხვიანობა და მისი პროფილაქტიკისათვის ყველა საჭირო ღონისძიებათა გატარება. დისპანსერის მუშაკებს ვალდებულნი არიან სისტემატურად კონსულტაციები და სან-განმანათლებელი ლექციებსაუბრები ჩაატარონ სპორტსმენთა ფართო მასებს შორის. საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერი სამკურნალო ფიზკულტურის ხაზით ავადმყოფებთან მეტად მნიშვნელოვან სამკურნალო და პროფილაქტიკური ხასიათის მუშაობას ატარებს. დისპანსერის სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტი დაკავშირებული უნდა იყოს ძირითად სამკურნალო დაწესებულებებთან (საავადმყოფოები, პოლიკლინიკები), საიდანაც მოვლინებულ ავადმყოფებს ამ სამუალება მიეცემათ აღიდგინონ დაქვეითებული შრომის უნარი.

განსაკუთრებით საინტერესოა საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის სტაციონარის მუშაობა. ამ სტაციონარში სამკურნალოდ ხვდებიან ძირითადად ის სპორტსმენები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით (ტრავმა, გადაწვრთნა და სხვ.) დროებით დაკარგული აქვთ შრომის უნარი. ამ დაკარგული ფუნქციისა და შრომის უნარის აღდგენა განსაკუთრებით ჩქარა წარმოებს, რაც ფუნქციური თერაპიის ყველა ძირითადი მეთოდების კომპლექსური გამოყენებით მიიღწევა.

მაგრამ, დისპანსერის სტაციონარი მარტო ავადმყოფ სპორტსმენთათვის არ არის განკუთვნილი. სპორტსმენთა დისპანსერიზაციის მიზნით ხშირ შემთხვევაში სტაციონარში წარმოებს სრულიად ჯანმრთელ სპორტსმენთა მოთავსება მათი ყოველმხრივი სამედიცინო შემოწმებისათვის.

საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის სტაციონარმა ხელი შეუწყო ვ. წ. „ჯანმრთელი ადამიანის კლინიკის“ შექმნას, რაც თანამედროვე მედიცინის შესწავლის ერთ-ერთ საგანს წარმოადგენს.

ამგვარად, საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერები წარმოადგენენ ისეთ სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც უაღრესად დიდ როლს ასრულებენ როგორც მოსახლეობის გაჯანსაღების, ისე სპორტსმენთა მაღალი ტექნიკური შედეგების მოპოვების საქმეში.

რ. სვანიშვილი

«შემგრალე» გული

ნიუ-იორკში, „მედისონ სკვერ გარდენს“ საკრივო დარბაზის მოპირდაპირე მხარეს მობინადრე ექიმი ლიტმანი ხშირად ხედავდა სპორტული კლუბიდან გამოსულ თვალებდალილავებულ მოკრივეებს და გული „სიბრალულით“ ევსებოდა.

ამ „სიბრალულის“ ნაყოფი იყო სწორედ ექიმის მიერ... თავის თავისადმი გაკეთებული რეკლამა: „რადიკალური საშუალება ბრძოლების უსაშიშარი კვალის წინააღმდეგ“. ლიტმანი ბრძოლის წინ ვიტამინ „ც“-ს და რაღაც წამალს აძლევდა მოკრივეებს, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ — თუ თვალი დალურჯებული ჰქონდათ — ნემსს უშხაპუნებდა.

გამოიღო თუ არა შედეგი ამ „რადიკალურმა საშუალებამ“? ამაზე მედიცინის ისტორია დუმს. სამაგიეროდ, საკმაოდ ცნობილია სხვა შედეგი: ექიმის ჯიბე უზომოდ გასქელდა.

ფულუკიძე

წულუკიძის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სექციამ ჩაატარა 1958 წლის საქალაქო პირველობა ფეხბურთში, მიძღვნილი კომკავშირის 40 წლისთავისადმი.

შეჯიბრებაზე დაუმარცხებლად პირველი ადგილი მოიპოვა ძაფსაგრეხი ფაბრიკის ძირეულმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა.

* * *

წულუკიძეში ჩატარდა საკავშირო კრისის მეორე ეტაპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქის პირველი, მეორე, მესამე საშუალო სკოლების, გუბის, გორდის, კუბისა და მათხოჯის საშუალო სკოლების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის № 9 სასწავლებლის, შრომითი რეზერვების № 8 სახელოსნო სასწავლებლის დ. ძაფსაგრეხი ფაბრიკის 84 სპორტსმენმა.

გუნდურ პირველ ადგილზე გამოვიდა წულუკიძის პირველი საშუალო სკოლა.

ა. უუშარაძე

თელავი

თელავში ჩატარდა აღკკ მე-40 და თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქის 10-მა კოლექტივმა.

ვაჟთა შორის საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ქალაქის ნაკრებმა. ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივი.

თასი ეროვნული გუნდებისათვის

როგორც ცნობილია, ამას წინათ გაიმართა პირველი მერვედფინალური მატჩი ევროპის თასზე ფეხბურთში ეროვნული ნაკრები გუნდებისათვის. ჩვენი ქვეყნის კოლექტივმა ანგარიშით 3:1 დაამარცხა უნგრეთის გუნდი. აღსანიშნავია, რომ ეს თასი ყველაზე ახალგაზრდაა და მისმა შემოღებამ საფუძველი ჩაუყარა ფეხბურთელთა კიდევ ერთ საერთაშორისო შეჯიბრებას.

VI მსოფლიო ჩემპიონატის წინ სტოკჰოლმში ფეხბურთის ასოციაციის ევროპის კავშირის მორიგმა კონგრესმა შიიღო გადაწყვეტილება ამ ღონისძიების ჩატარების შესახებ. მანამდე ეს იდეა მრავალ წინააღმდეგობას წააწყდა. ჯერ კიდევ 1957 წლის 27 ივნისს ევროპის კავშირმა 15 ხმით 7-ს წინააღმდეგ შოიწონა თასის გათამაშების პროექტი. რომლის მიხედვით ამ ჯილდოს გათამაშება უნდა გაგრძელდეს ორ წელიწადს და გაიმართოს მსოფლიო ჩემპიონატებს შორის. ტურნირში მონაწილეობის მსურველ ქვეყნებს ამის შესახებ უნდა ეცნობებინათ მიმდინარე წლის 18 თებერვლამდე და იმ შემთხვევაში თუ 16 გუნდი მოიყრიდა თავს, თასის ბედი საბოლოოდ გადაწყდებოდა სტოკჰოლმის კონგრესზე.

კონგრესის გახსნის დღისათვის ფეხბურთის ასოციაციის ევროპის კავშირის 31 წევრიდან გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 17-მა. ასე ჩაეყარა საფუძველი ევროპის ამ თავისებურ ჩემპიონატს. თასის გათამაშების სისტემა ოლიმპიურია, მაგრამ იმ გახსხვავებით, რომ გუნდები ერთმანეთს ხვდებიან ორჯერ, რითაც გამორიცხულია შემთხვევითობა. გამარჯვებულად ითვლება ის კოლექტივი, რომელსაც ქულებისა და ბურთების უკეთესი შეფარდება აღმოაჩნდება და უფლება მიეცემა იბრძოლოს ფინალში გასვლისათვის. შანსების თანასწორობის შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი დრო პირველი გოლის გატანამდე ან მესამე მატჩი. მერვედფინალური შეხვედრები უნდა დამთავრდეს 1959 წლის ნოემბრამდე, ხოლო მეოთხედფინალური მატჩები შემდგომი წლის მაისამდე.

თასის დასკვნით ეტაპზე ნახევარფინალის მონაწილეთა შორის გაიმართება მხოლოდ თითო შეხვედრა. ფინალი და მატჩი მესამე ადგილის გამოსაელინებლად მოეწყობა ნახევარფინალის ერთ-ერთი მონაწილე ქვეყნის მოედანზე 1960 წლის ივნის-ივლისში.

კენჭისყრის შემდეგ მერვედფინალში ერთმანეთს ხვდებიან: უნგრეთი-საბჭოთა კავშირი; პოლონეთი-ესპანეთი; გდრ-პორტუგალია; იუგოსლავია-ბულგარეთი; თურქეთი-რუმინეთი; დანია და ჩეხოსლოვაკია-ირლანდიის მატჩში გამარჯვებული; საფრანგეთი-საბერძნეთი, ავსტრია-ნორვეგია.

მეოთხედფინალისტი ყველაზე ადრე გამოვლინდება საფრანგეთ-საბერძნეთის მატჩში. მათი პირველი მატჩი, რომელიც პირველ ოქტომბერს შედგა, დამთავრდა ფრანგების გამარჯვებით 7:1. მეორე შეხვედრა შედგება 3 დეკემბერს. 2 ნოემბერს მოეწყობა რუმინეთისა და თურქეთის გუნდების პირველი მატჩი.

დღეს 28 ოქტომბერს დღეს

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

მძლეოსნობა

საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა. მონაწილეობენ მოძმე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით, რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის 3-89-02, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03996

რედაქტორი ი. უგულავა.